N 145 02/07/2020

**ოქმი #14**
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**ბიუროს მორიგი სხდომის**

2020 წელი, 30 ივნისი
ქ. ოზურგეთი
11.00 – 12.00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** დ.დარჩია- საკრებულოს თავმჯდომარე

**ესწრებოდნენ:** მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: გ.ღურჯუმელიძე, ლ.საჯაია, გ.კილაძე, ე.გორდელაძე, ტ.აროშიძე, ბ.დოლიძე, ლ.მგელაძე, ბ.ქათამაძე, გ.თოიძე, ლ.ბიგვავა.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 11, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს.

## დღის წესრიგი

1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**

2.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 ნოემბრის N71 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ავთანდილ ჩხაიძე**

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზრვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის

დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**გადაწყვიტეს:**

საკრებულოს ბიუროს დღის წესრიგში გათვალისწინებული სამივე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში განსახილველად და დასამტკიცებლად, მათ შორის N1 საკითხი საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო